ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დემოგრაფია და მოსახლეობის სამაგისტრო პროგრამა

ანნა თევდორაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

ქორწინებითი და ქორწინების გარეშე

შობადობა საქართველოში

ხელმძღვანელი: ანზორ სახვაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 4

შესავალი..... 5

თავი I ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა

$1. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ცნებები.....8

თავი II ქორწინებითი და ქორწინების გარეშეშობადობის ტენდენციები საქართველოში

$1. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციები საბჭოთა საქართველოში 14

თავი III ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა საქართველოში

$1. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციები საქართველოში 27

დასკვნა..... 39

გამოყენებული ლიტერატურა 40

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა წლების მონაცემებით ქორწინებითი და ქორწინების გარეშე, შობადობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, დაგვანახოს, თუ როგორ მცირდება ქორწინებები თანამედროვე საქართველოში და რომ შობადობა შემცირებული ქორწინების ფონზე საგრძნობლად იკლებს.

ნაშრომში გამოკვეთილია, საბჭოთა კავშირის დროინდელი საქართველოს, დემოგრაფიული ვითარება, ქორწინებით კონტექსტში და თანამედროვე საქართველოს მწვავე პრობლემები შობადობის მხრივ. აგრეთვე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებული, განქორწინებათა მაშტაბების ზრდაზე. რაც შობადობის დონეზე ნეგატიურად აისახება. ქალის ემანსიპაციამ და სოციალური სტატუსის ამაღლებამ ხელი შეუწყო ქორწინების გარეშე შობადობის გახშირებას, ვინაიდან წარმატებული კარიერის მქონე ქალებს ხშირად უჩნდებათ სურვილი და ახორციელებენ კიდეც დამოუკიდებლად (ოფიციალური მამის გარეშე) გააჩინონ და აღზარდონ შვილები, რაც ერთის მხრივ დემოგრაფიული თვალსაზრისით მისაღებია, მაგრამ საზოგადოებაში დამკვიდრებულლი ზნეობრივ ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, რაც ხშირად პოზიტიურად არ აღიქმება და განკიცხვის საგანი ხდება. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ,თუ რას ფიქრობდა ხალხი, ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციებზე. შეხედულებები კი წლების განმავლობაში მკვეთრად იცვლებოდა. სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოში, განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში.მთავარი პრობლემა კი მაინც შობადობის გარშემო ტრიალებს.

ნაშრომში შევეცადეთ,რომ წარმოგვეჩინა, ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის

მაშტაბები და დინამიკა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის, განმავლობაში. ნაშრომში,

გამოვლენილია ამ მოვლენისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებები და მოცემულია,

გარკვეული სახის რეკომენდაციები, აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად.

Annotation

The essay introduced the stydy of the birth rates outside of marriage and for meried couples. The goal of the essayis is to highlight the decrease of marriages in Georgia and in light the matert of the mentioned fact the material decline in birth rates.

The essay outlines the demographic situation during Soviet union period in Georgia and acute problem of birth in modern Georgia . Also, attention is emphasized to the increased of divorced couples and its negative effects on the birth .Emansipation and higher social status of the woman promoted to increase the birth rates outside of marriage . The woman with successful career are desired to have a kid without his/her official father . At the one hand it is acceptable for demographic reasons however on the other hand, considering the ethical norms established in the society , the mentioned fact is not positively perceivedand is subject to blame. It should be mentioned the society's opinion about the birth outside of marriage and the drastically changes the opinions over the periods . Ethnic minority in Georgia has different attitude to the mentioned fact, however the basic problem is related to the birth rates.

We tried to introduce the scale of the birth rates outside of marriage and for married and for married couples during the past half century. In the essay there are deceted the appropriateness of the birth rates. And there are provided the recommendations to regulate the problem

შესავალი

საქართველოში თუ გადავხედავთ იმ მძიმე მდგომარეობას, რომლის წინაშეც დაგვაყენა შობადობისა და სიკვდილიანობის რიცხვთა გატოლებამ, შეგვიძლია „ვიწინასწარმეტყველოთ“ კიდეც, რომ თითოეულ დაბადებულ ბავშვს, თანამედროვე საქართველოში „ოქროს ფასი“ გააჩნია. ყველამ კარგად ვიცით, რომ სიკვდილიანობის წილის შობადობის მაჩვენებელთან გატოლება, იწვევს, ერის სიბერეს და ბოლოს, განადგურებას !

დემოგრაფიული პრობლემების ერთ-ერთი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა და არა მარტო... რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, ისეც ხდება ხშირად , რომ რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალი, აჩენს მხოლოდ ერთ ბავშვს, მისი რეპროდუქტიულობის მიუხედავად ან ორს, სელექციის მეთოდით. უამრავი ჩანასახი დედის მუცელშივე არასასურველი სქესის გამო, წყვეტს სიცოცხლეს.

2007 წელს სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად მართლმადიდებელ ოჯახებში ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის მონათვლის ინიციატივა გამოთქვა. დღეისათვის უწმინდესს უკვე 13 000-ზე მეტი ნათლული ჰყავს, რაც გარკვეულწილად დადებითად აისახება საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ზღვაში წვეთია იმ მძიმე მდგომარეობასთან მიმართებაში, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა იმყოფება. (გ.წულაძე ნ. , 2014)

საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა - 104 ათასი.

1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, ხოლო 1999-2010 წლებში კი - 55 ათასი. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო და

2005 წელს საქართველოში 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. (გ.წულაძე ნ. , 2014)

ქართველ მოსახლეობაში მასობრივად ვრცელდება მცირეშვილიანობა. უფრო და უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სამი ან მეტი შვილი ჰყავთ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და უფრო მაღალი რიგითობის ბავშვის, დაბადებულთა მთელ რაოდენობაში 36,5%-ს შეადგენდა, 2011 წელს ეს მაჩვენებელი 15%-ს უდრიდა. (გ.წულაძე ნ. , 2014) ეს მონაცემები მკვეთრად არც 2018 წლამდე არ შეცვლილა დადებითად. ამის ფონზეა სწორედ, რომ დღეს საქართველოში, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა. საფრთხე ქვეყნის ფიზიკურ არსებობას ემუქრება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი ხელიხელჩაკიდებული შრომა და საჭირო გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება. (გ.წულაძე ნ. , 2014)

საზოგადოების ერთი ნაწილი ნეგატიურად უყურებს ქორწინების გარეშე შობადობას საქართველოში, რაც ,ჩემი აზრით, არის გაუმართლებელი მიდგომა იმ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებასთან კავშირში, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავს ტრიალებს.

როგორც უკვე მოგახსენეთ „ოქროს ფასი“ აქვს ყოველ ახალ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის გენოფონდისთვის. ცოტა არ იყოს, უხერხულია თანამედროვე პირობებში, როდესაც ქალი გენდერულად თანასწორია მამაკაცის და უფრო მეტიც, წინა პლანზეა წამოწეული ფემინიზმი, გავკიცხოთ იმ ადამიანთა ის საკმაოდ მცირე ჯგუფი, რომლებმაც გადაწყვიტეს მეუღლის გარეშე შვილის გაჩენა, ახალი სიცოცხლისთვის სულის შთაბერვა და მასზე მზრუნველობა, გავკიცხოთ და გილიოტინა გამოვუტანოთ, მაშინ, როცა მილიონობით დაოჯახებული ქალი მიმართავს აბორტს ამა თუ იმ მდგომარეობის გამო, რასაც რელიგიურად და დემოგრაფიულად არანაირი ახსნა არ მოეძებნება.

ადრე სამოქალაქო ქორწინებების შემოღებამდე საეკლესიო ქორწინება ითვლებოდა კანონიერად, ჯვრისწერის წესით ხდებოდა ქორწინების ფაქტის დაფიქსირება, ამიტომაც ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, სამოქალაქო ქორწინება და საეკლესიო ქორწინება. ჩვენი დღევანდელი სტატისტიკა ქორწინებაში არმყოფი მშობლების მიერ გაჩენილი

ბავშვების ორ კატეგორიას აფიქსირებს: 1. საეკლესიო წესით დაქორწინებულთა გაჩენილი ბავშვებია . 2. არც სამოქალაქო და არც საეკლესიო წესით ქორწინებაში არმყოფი მშობლების მიერ გაჩენილი ბავშვებია. ხოლო ბავშვების რეგისტრაცია კი ხდება სამნაირად, როდესაც დედა არის ქორწინებაში მაშინ ქორწინების მოწმობის წარდგენით და განცხადების საფუძველზე, სადაც მამას ენიჭება ისეთივე კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები, როგორც დედას, მამა ხდება შვილის აღზრდაზე პასუხისმგებელი და შვილიც ორივე მშობლის მიმართ თანასწორადაა ანგარიშვალდებული.

მეორე შემთხვევა არის, როდესაც სტატისტიკა აღრიცხავს ბავშვებს, რომელთა მშობლებიც იმყოფებიან საეკლესიო და არა სამოქალაქო ქორწინებაში. ასეთ შემთხვევაში თუ ბავშვი მამის მხრიდან არის აღიარებული რასთან დაკავშირებითაც არსებობს მისი წერილობითი განცხადება,მოხდება ამ ბავშვის რეგისტრაცია ორივე მშობლის ერთობლივი განცხადების საფუძველზე.ასეთ შემთხვევაში მამას შვილზე და პირიქით შვილს მამაზე, ისეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ თავისთავად ბავშვი იქნება ქორწინების გარეშე დაბადებული, რადგან დედა არ იმყოფებოდა სამოქალაქო წესით ქორწინებაში. ფაქტობრივად უკანონოდ გაჩენილი ბავშვი, რომელსაც ადრე უწოდებდნენ უხეში ტერმინოლოგიით „ბუშ“ ან „ნაბიჭვარს“ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ასეთი ბავშვის რეგისტრაცია ხდება მხოლოდ დედის განცხადების საფუძველზე, მამა არ არის ამ შემთხვევაში თანახმა ეს ბავშვი თავისად აღიაროს, მამის გრაფაში დედას შეუძლია მიუთითოს ნებისმიერი სახელი, ანონიმურობისთვის, ფორმალურად და ჩაწეროს საკუთარ გვარზე. აი ეს არის რეალურად ამ სამ კატეგორიაში ის კატეგორია, რომელსაც ადრე უწოდებდნენ „ნაბიჭვარ“ ბავშვს, დღეს კი ასეთ ბავშვებს ჰქვია ქორწინების გარეშე ნაშობი ბავშვი და ირონიულიცაა, რომ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მყოფმა ქვეყანამ, ცოცხლად დაბადებულ ბავშვს, რომელიც თითქმის, სანთლით არის საძებარი, ვუწოდოთ დამკვიდრებული ზემოთაღნიშნული არასასიამოვნო ტერმინი. ქორწინწბის გარეშე გაჩენილ ბავშვებს წინათ, სხვადასხვა არასახარბიელო ეპითეტებით მოიხსენიებდნენ: უკანონო ბავშვი,ბუში, ნაბიჭვარი და სხვა.თანამედროვე პირობებში ასეთ ბავშვებს მიეკუთვნებიან ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები, რომელთა მამებიც ასეთ

მდგომარეობაში გაჩენილთ შვილად არ აღიარებენ. ეს არის სწორედ ის მესამე შემთხვევა,როდესაც სტატისტიკა ახალგაჩენილ ბავშვს აღრიცხავს მხოლოდ ქორწინებაში არმყოფი დედის განცხადების საფუძველზე,ასეთ შემთხვევაში ბავშვს დაბადების მოწმობაში, მამის გრაფაში მიეთითება დედის მიერ მითითებული ნებისმიერი სახელი ხოლო გვარი კი ბავშვს ეძლევა დედის გვარის მიხედვით.მეორე შემთხვევისგან განსხვავებით ასეთ მდგომარეობაში გაჩენილ ბავშვსა და მის ბიოლოგიურ მამას შორის არანაირი პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა. უპრიანი იქნება, საკითხზე დაფიქრება ყველასთვის და ამ სიტყვის საკუთარი ლექსიკიდან ამოღება.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვი ოჯახის სამკაულია და ის ორივე მშობლის სიყვარულის ნაყოფი უნდა იყოს. ვინაიდან, ბავშვს სჭირდება როგორც დედა, ასევე მამა. რაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ფსიქო-კოგნიტური ჩამოყალიბებისთვის და სამყაროს რაციონალური აღქმისთვის.

თავი I

ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა

$1. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ცნებები

ქორწინება არის ქალსა და მამაკაცს შორის კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი.

25 წელია რაც საქართველოში დემოგრაფიული ვითარება სულ უფრო მძიმდება. ეს პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, როდესაც ხალხს მანამდე არსებული საშუალებები მოესპო. ბოლო წლებში საგანგაშო ვითარება ფიქსირდება შობადობის კუთხით.

მაგალითისთვის 2016 წელს 56569 ბავშვი დაიბადა. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით აღნიშნული მაჩვენებელი 2680-ით ნაკლებია 2015 წლის მონაცემებზე, როცა საქართველოში შობადობა 59 249-ს შეადგენდა. (საქსტატი, 2015)

განქორწინების სურათიც საგანგაშოდ არის შეცვლილი. მიზეზი ცხადია, ეკონომიკის დასუსტება, ცხოვრების დონის არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, რაც ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოდან ემიგრაციაში 1 700 000 ადამიანი წავიდა (ძირითადად ახალგაზრდები). ამიტომ თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში 1989 წლამდე 455 000 გოგონა დაიბადა, ეს რიცხვი 90-იან წლებში განახევრდა, 2000-იანებში კი 236 000 გახდა. (საქ.სტატი, 2015)

ბავშვები ძირითადად ქორწინებაში იბადებიან. ქორწინებითი მდგომარეობა უმნიშვნელოვანესია შობადობის ზრდისთვის. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტები უფრო უკეთეს წარმოდგენას იძლევა შობადობის მდგომარეობასა და დინამიკაზე, ვიდრე ჩვეულებრივი ქალების ქორწინებით მდგომარეობის მიხედვით არადიფერენცირებული კოეფიციენტები. შობადობის ქორწინებითი და ქორწინების გარეშე კოეფიციენტების გამოსათვლელი ფორმულები შემდეგნაირად გამოიყურება:

ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტი:

$$F_{15-49}^{m} = \frac{N^{m}}{W_{15-49}^{m}} \cdot 100 \qquad (1.11)$$

სადაც F_{15-49}^{m} - ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტია;

N^{m}- გათხოვილი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების რიცხვი;

W_{15-49}^{m}– 15-49 წლის ასაკში გათხოვილი ქალების საშუალო წლიური რიცხვი.

ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი:

$$F_{x}^{m} = \frac{N_{x}^{m}}{W_{x}^{m}} \cdot 100 \qquad (1.12)$$

სადაც F_{x}^{m}- ქორწინებითი შობადობის სპეციალური კოეფიციენტია;

N_{x}^{m} - გათხოვილი ქალების მიერ „X“ ასაკში გაჩენილი ბავშვების რიცხვია;

W_{x}^{m} – „X“ ასაკის გათხოვილი ქალების საშუალო წლიური რიცხვია (ბორისოვი, 2001)

შესაძლოა ქორწინება არ იყოს რეგისტრირებული, მაგრამ ქორწინება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, როგორც საეკლესიო კუთხით ქორწინება, ან თუნდაც არც საეკლესიო იყოს ქორწინება და არც სამოქალაქო ჩვეულებრივი ამბავია, რადგან რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა საერთო შობადობის ნაწილია და მიუხედავად მკაცრი სოციალური თუ რელიგიური შეხედულებებისა და შეზღუდვებისა, ყოველთვის არსებობდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და სხვა სტრუქტურების ჩაურევლობამ მიგვიყვანა ოჯახის ლიბერალურ დოგმებამდე და ეს ხედვა ითვლება როგორც ახალი სოციალურ-დემოგრაფიული ფასეულობების შესაბამისი ნორმის ჩამოყალიბება ოჯახში.

გამოვყოფთ ერთ-ერთ ფორმას, როდესაც იურიდიულად გაუფორმებელია წყვილის თანაცხოვრება, ანუ არარეგისტრირებული ქორწინების სახით. ოჯახის ალტერნატიულ ფორმად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, განსაკუთრებით მაღალი ტემპი მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში აღინიშნება.

1970-იანი წლებიდან მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანიძვრები მოხდა ოჯახის ინსტიტუტის თვალსაზრისით, სოციალურ-დემოგრაფიულ ასპექტებში. გადაიწია პირველ ოფიციალურ ქორწინებაში შესვლის ასაკმა და გავრცელდა ქორწინების სხვადასხვა ფორმები. მომრავლდა განქორწინებები, რამაც რეპროდუქტიული ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. თანამედროვ ოჯახში შვილის გასაჩენად აღარ არის საჭირო ქორწინებაში შესვლა. წყვილები ქორწინების გარეშე თანაცხოვრობენ და აჩენენ შვილებს. (ბორისოვი, 2001)

2000-იან წლებში საქართველოში მატულობს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი, რომელმაც სარეკორდო მაჩვენებელს 2006 წელს მიაღწია - 54,4%. (გ.წულაძე ნ. , 2014) მათგან მშობელთა ერთობლივი განცხადების გარეშე ანუ მხოლოდ ერთი მშობლის ანუ დედის საფუძველზე რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა შეადგენს - 5,1%-ს (საკუთარი სურვილით, გვარს თვითონ აძლევს), ხოლო 48,8% შეადგენს ის კატეგორია, რომელიც ჯვარდაწერილია და არ იმყოფებიან სამოქალაქო ქორწინებაში (გ.წულაძე ნ. , 2014). 2000 წელს 1990 წელთან შედარებით, პირველ ქორწინებაში დაახლოებით ორჯერ ნაკლები იყო რეგისტრირებული. ქორწინების გარეშე დაბადებულთა ანალიზისას დედის ასაკის მიხედვით 1989-2000 წლებში ყველა ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვანი მატება აღინიშნება. განსაკუთრებით მაღალი იყო (50%-ზე მეტი) 20 წლამდე, 20-24 წლამდე და 25-29 წლის ასაკში. გამოკვლევის თანახმად, მათი უმრავლესობა ფაქტიურად ერთად ცხოვრობს, არის ჯვარდაწერილი ან ქორწინების გარეშე ცხოვრებას ეწევა (სტატი, 2012), (გ.წულაძე ნ. , 2014)

დიაგრამა1. არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების წილი დედის ასაკის მიხედვით 1989, 2006 და 2012 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატი, 2012)

ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელების შემდეგ შობადობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივი შობადობის დონეზე ნაკლებია. შობადობის პოტენციალის რეალიზაციის დონის განმსაზღვრელად გამოიყენება კოულის ინდექსები და ბორისოვის ინდექსი. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

კოულის ინდექსები შობადობის ჰიპოთეზური მაქსიმალური ინტენსივობიდან გამომდინარეობდნენ და ახასიათებდნენ შობადობის არსებული დონის გადახრას შესაძლებელი მაქსიმუმიდან.

კოულის ინდექსების მნიშვნელობა ყოველთვის ერთზე ნაკლებია. რაც უფრო ნაკლებია იგი ერთზე, მით უფრო გავრცელებულია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. კოულის ინდექსების ერთობლივად გამოყენება შობადობის ცვალებადობის ახსნის კარგ საშუალებას წარმოადგენს. კოულის მიერ შემოთავაზებული იყო ოთხი ინდექსი: (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

1. საერთო შობადობის ინდექსი (If) - უჩვენებს, თუ რომელიმე კონკრეტულ მოსახლეობაში ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა რა ხარისხს უახლოვდება დაბადებათა იმ რაოდენობას, რომლებსაც ისინი იყოლიებდნენ, თუ მათთვის დამახასიათებელი იქნებოდა შობადობის მაქსიმალური მაჩვენებელი.

2. ქორწინებითი შობადობის ინდექსი (I9) - უჩვენებს, თუ რა ზომით უახლოვდება ან განსხვავდება ფერტილური ასაკის დაქორწინებული ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა, მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინებაში დაბადებულთა რაოდენობისაგან.

3. ქორწინების გარეშე შობადობის ინდექსი (In) - უჩვენებს ფერტილური ასაკის გაუთხოვარი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მსგავსებას.

4. ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის ინდექსი (Im) - უჩვენებს, თუ რა ზომით უწყობს ხელს ქორწინებაში ყოფნა მაქსიმალურად შესაძლებელი შობადობის მიღწევას. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

შობადობის მატება დადებითად აისახება და სასარგებლოა ეკონომიკისთვის, რადგან გაზრდილი მოსახლეობა ბაზარს ახალი იდეებით და ადამიანური რესურსით ამარაგებს თუ რაღათქმაუნდა მატება ბუნებრივად ხდება და არა ხელოვნური სტიმულით. დემოგრაფიული ცვლილებები ეკონომიკურ და სხვა ღრმა პროცესებს უკავშირდება.

ქორწინების შემთხვევაში წყვილი ცდილობს იყოლიოს ბავშვი. უმრავლეს შემთხვევაში ხდება ისე, რომ პირველი შვილის შეძენის შემდგომ წყვილი წყვეტს შვილების ყოლაზე ფიქრს და კმაყოფილებას იწყებს ერთი სვილით, როგორც ფსიქიკურად, ასევე მატერიალურად გადართულია მაზე. ორი შვილი არც არის გასაკვირი მოვლენა, მაგრამ უკვე ესეც კი მისასალმებელი და სანიმუშოა.

ქორწინების გარეშე შობადობის მცირე მაჩვენებელს თუ კი გადავხედავთ, დავინახავთ რომ ერთი ქალი ძირითადად ქორწინების გარეშე აჩენს ერთ ბავშვს და ნაკლებია მეორე ბავშვის გაჩენის ალბათობა. ოჯახი ჰქვია დაქორწინებულ წყვილს, რომელთაც ჰყავთ საკუთარი შვილი ან შვილები. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს კი არ აქვთ პირობები იცხოვრონ სრულფასოვან ოჯახში, რადგან მათზე პასუხისმგებლობას იღებს ერთ-ერთი მშობელი, მეტწილად დედა.

რაღათქმაუნდა სჯობს, რომ ბავშვი ქორწინებაში დაიბადოს და ბავშვი ოჯახურ გარემოში აღიზარდოს, მაგრამ თუ ეს ასე არ ხდება, საგანგაშო ამაში არაფერია და ჩვენ ცივილიზებულმა საზოგადოებამ ხელი არ უნდა ვკრათ ასეთ ბავშვებსა და მათ დედებს. პირიქით, დასაფასებელია, როცა თავისი სურვილით იღებს დედა ამ მძიმე ტვირთს საკუთარ მხრებზე და გადაწყვეტს მისი შვილისთვის გაიღოს მსხვერპლი, იყოს როგორც დედა, ასევე შეეცადოს მის შვილს გაუწიოს მამობაც.

ევროპული ტიპის დემოგრაფიული ქცევა ახასიათებს საქართველოს, მაგრამ განქორწინება გამონაკლისია. განქორწინების დონე ყოველთვის დაბალი იყო საქართველოში. ძველად განქორწინება და ქორწინების გარეშე შვილის გაჩენა ამორალურ საქციელად მიიჩნეოდა. ეს ადამიანი განკიცხვის საგანი ხდებოდა. (ვ.სულაბერიძე, 2014)

დიაგრამა 2. განქორწინებათა დინამიკა (‰) საქართველოში 1960-2012 წწ.



(სტატი, 2012)

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს 1960-1992 წლებში განქორწინება ზრდის ტემპით ხასიათდება. 2009 წლამდე აღინიშნება ნელი, მაგრამ არსებითი შემცირება, ხოლო 2009 წლიდან შესამჩნევი ზრდა. 2012 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 1960 წლის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია და 1,6 პრომილე შეადგინა. (საქსტატი, 2015) შეიძლება განქორწინებაზე ასე მოკლედ ითქვას, რომ საქართველოში განქორწინებათა 50-წლიან დინამიკას გარკვეულწილად წრებრუნვის ფორმა გააჩნია. (ვ.სულაბერიძე, 2014)

$2. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის სტატისტიკური აღრიცხვა

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს შობადობის დონის საგრძნობი შემცირება, რაც შეიძლება უამრავი მიზეზით არის გამოწვეული. თუმცა ყველაზე

გავრცელებული მიზეზია ოჯახში ბავშვის ყოლის მოთხოვნის შემცირება, ბავშვის ყოლა უამრავ დროს, ენერგიას და ფინანსებს უკავშირდება. თანამედროვე საზოგადოებაში უფრო მეტად ფასეული ხდება საკუთარი თავის რეალიზება და კარიერული მიღწევები, პრესტიჟი, წარმატება. ადამიანები უფრო მეტად მიისწრაფვიან აღნიშნული მოთხოვნილებებისკენ, ვიდრე ბავშვის ყოლის სურვილისკენ.

შობადობის დონის კლების რეალური მიზეზის შესწავლა ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერების კვლევის საგანს, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, კულტურული მაჩვენებელი დემოგრაფიისთვის მართლაც ინტერესის სფეროა. იყო დრო, როდესაც პირველი დემოგრაფები დაინტერესდნენ, თუ საით მიექანებოდა რეალობა და წარმოადგენდა თუ არა მშობლებისთვის ბავშვის ყოლა პრიორიტეტს საკუთარ თავთან და საზოგადოებაში. (გ.წულაძე ნ. , 2014)

საქართველოში 1990-იანი წლებიდან შობადობის დონე კლებულობს. ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვის რაოდენობა საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვის. ამასთანავე, მცირდება მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულს შორის. საქართველოში ძირითადად ოჯახები ორიენტირებული არიან ორ შვილზე და პრობლემას წარმოადგენს სამი ან მეტი შვილის ყოლა. (გ.წულაძე ნ. , 2014)

დიაგრამა 3. შობადობისჯამობრივი კოეფიციენტისაქართველოში



წყარო: საქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახური - (სტატი, 2012)

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა საერთო რაოდენობა 2012 წლისათვის იყო 28 528 ბავშვი. ძნელია განისაზღვროს რამდენი ბავშვი დაიბადა თანაცხოვრებაში. მხოლოდ დედის განცხადებით აღიარებულია 2,5%, რაც ფაქტიურად რეალურად ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობაა და მარტოხელა დედათა რაოდენობად უნდა მივიჩნიოთ. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

დიაგრამა4. დაბადებულთა განაწილება დედის ქორწინებითიმდგომარეობის მიხედვით (%) (გ.წულაძე ნ. , 2014)



ძალიან საინტერესო ინფორმაციის მატარებელია რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა დედის ასაკის მიხედვით. 2012 წლის მონაცემებით 20 წლამდე გოგონათა

მიერ დაბადებულ ბავშვთა 49,8%-ზე მეტი რეგისტრირებული ქორწინების გარეშეა გაჩენილი, 20-24 წლის გოგონათა გაჩენილ ბავშვთა რაოდენობაში 29,8%, 25-29 წლის ასაკში - 29,1%, 30-34 წლის ასაკში - 31,4%, 35-39 წლის ასაკში 35,9%, 40-44 წლის ასაკში - 38,2%. (გ.წულაძე ნ. , 2014)

დედის ასაკის მიხედვით 1989-2006 წწ. ყველა ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვანი მატება აღინიშნა. განსაკუთრებით მაღალი იყო (50%-ზე მეტი) 20 წლამდე, 20-24 წლიდან 25-29 ასაკში, როგორც გამოკვლევა ადასტურებს, მათი უმრავლესობა ფაქტიურად ერთად ცხოვრობს, ჯვარდაწერილია ან ქორწინების იურიდიულად აღიარებულ თანაცხოვრებას ეწევა. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

სახელმწიფოს მიერ ქორწინების ეს ფორმები სამართლებრივად არ არის აღიარებული, მათ მიერ გაჩენილი შვილი სტატისტიკაში აღირიცხება როგორც რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული და ხელოვნურად ზრდის ამ მაჩვენებელს ეს გარემოება. ამის გამო აუცილებელია იურიდიულად გათანაბრებულ იქნას ქორწინების ეს ორი ფორმა და მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემ მიერ შეჯამებული გამოკვლევის შედეგი 1980 წლიდან 2007 წლამდე დაბადებულ ბავშვთა, ქორწინების გარეშე დაბადებულთა და ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა აღრიცხვა ცხრილის სახით, სადაც ნაჩვენებია რეალურად მაგალითი, რომ 1980 წლისთვის თითქმის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა ნახევარს წარმოადგენს ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობა. ხუთი წლის შემდეგ, ანუ 1985 წლისთვის ტემპი საგრძნობლად ეცემა და ათ პროცენტსაც ვერ აღწევს, 1990 წლისთვის იმატებს ოდნავ და ასე გრძელდება 1995 წლამდე, მანამ სანამ ეს რიცხვი არ ბათილდება 1996 წლისთვის და 1998 წლიდან ტემპი უცვლელი რჩება 2007 წლამდე 1995 წელთან მზაობაში.

წელი	დაბადება	ქორწინების გარეშე	ქორწინებაში მყოფი
1980	89500	4199	85301
1985	97700	10281	87419
1990	92800	16903	75897
1991	89100	16679	72421
1992	72600	15812	56788
1993	61600	15146	46454
1994	57300	16272	41028
1995	56300	16464	54654
1996	5500	16995	11495
1997	5400	18036	12636
1998	61500	18246	43260
1999	48700	17725	30975
2000	48800	20057	28743
2001	47600	21130	26470

2002	46600	21403	25197
2003	46200	20584	25616
2004	49600	23643	25957
2005	46500	23102	23398
2006	47800	26009	21791
2007	49300	21626	27674

სადავო ნამდვილად არ შეიძლება იყოს ის საკითხი, რომ ოჯახი ყველაზე იდი მონაპოვარია. ის ფუნდამენტურ, ინდივიდუალურ საჭიროებებს პასუხობს. ადამიანები იმიტომ არ ქმნიან ოჯახს, რომ ეს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არამედ იმიტომ, რომ იგი მილიონობით ადამიანისთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

მაგრამ დღეს, XXI საუკუნეში მკვეთრად გამოხატული მორალური იმპერატივების რყევა აღინიშნება. ადრე თუ აუცილებელი იყო ოჯახის სიმყარისთვის და ბავშვის გაჩენისთვის წყვილის დაქორწინება, დღეს ამან სახე იცვალა და პირიქით, მოდიდან გადავიდა. უხეშად რომ ვთქვათ, ჩატარებული კვლევებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ამგვარი ქცევა „ყოველგვარად გამართლებულად“ მიაჩნიათ რესპოდენტთა 14,6%-ს, ხოლო „ყოველმხრივ გაუმართლებლად“ რესპოდენტთა 21%-ს და „ზნეობრივად გაუმართლებლად“ 11,4%-სთვის. (გ.წულაძე ე. , 2014)

გამოკითხულებმა სოლიდარობაგამოუცხადეს ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას, თუნდაც ეს მისმა ახლობელმა გადაწყვიტოს. კითხვას, რომ თუ მისი ახლობელი მეუღლის გარეშე ბავშვს გააჩენს, რა დამოკიდებულება ექნებოდათ მათ. კატეგორიულად უარყოფითი პოზიცია ძალიან მცირე ნაწილმა გამოხატა. „არ მოვუწონებ“ - იყო ასეთი

პასუხი - 4,1%, „არ მოვუწონებ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ“ – 32,8%. ინდიფერენტული იყო განწყობა 14,4%-ის მხრიდან, „მოუწონებს და დაეხმარება“ – 17,6%, ხოლო როგორც არასასურველ ფაქტს შეეგუება და „ყველანაირად დაეხმარება“ 31,3%.

ოჯახის შექმნის და მისი ფასეულობების გადაფასებამ მიგვიყვანა ოჯახის მოდერნიზაციაზე. იგი აისახა კიდევაც დროთა განმავლობაში ოჯახის სტრუქტურაზე და „შიდა სამზარეულოზე“, როლებზე ოჯახში, შრომით ფუნქციის განაწილებაზე და შვილების აღზრდის განსხვავებულ მეთოდიკაზე. (გ.წულაძე ე. , 2014)

მე პირადად მაფიქრებს ეს სტატისტიკა, მაშფოთებს და ცოტა მაშინებს, რადგან ადამიანის განვითარების და წარმატების მოტივი ადრე თუ იყო შვილი და ცოლი ან ქმარი, ახლა სულაც აღარ ხდება ეს ორი კომბინაციაში მნიშვნელოვანი და ცალ-ცალკეც სრულყოფილებად მიიჩნევს საზოგადოების გარკვეული, მნიშნელოვანი (შეიძლება ასეც ითქვას) ნაწილი.

ქორწინების გარეშე შობადობაზე და საზოგადოების ნაწილზე, რომელიც არის მართლმადიდებელი ქრისტიანი ახდენს გავლენას ეკლესიური მრწამსი და სურვილის მიუხედავად, არ აძლევს უფლებას საკუთარ თავს პარტნიორთან თანაცხოვრებისა, მასთან შვილის ყოლისა, რაც დემოგრაფიულ მონაცემებზე მკვეთრად აისახება ხოლმე.

არის კიდევ ერთი მძიმე ფაქტორი შობადობისთვის წინაღობა, ეს არის ემიგრაცია - ემიგრაცია როგორც შიდა, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ, წამოვიდა წინა პლანზე მატერიალური კეთილდღეობა, ჭამა, ჩაცმა, მოგზაურობა, სწავლა და ათასი ფუფუნების საკითხი, რომლის მსხვერპლადაც გვევლინებიან ემიგრანტები.

გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ემიგრანტების უდიდესი ნაწილი არის რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ადამიანები (15-49). საქართველოს სტატისტიკას აუცილებლად შეემჩნევა ეს ფაქტი, ვინაიდან ჩვენისთანა პატარა ქვეყნიდან ემიგრაცია მომაკვდინებელია ჩვენი ერის გენოფონდისთვის. ისეც ხდება, რომ ემიგრანტები უცხოეთში ოჯახდებიან, აჩენენ შვილებს და მათი შვილები ავტომატურად ხდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქენი და ამ ფაქტს სჭირდება დიდი ძალისხმევა და რეზოლუციები.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ როგორც მოგახსენეთ „ხელი ხელს ბანსო“, ამიტომ მთავრობებს აწყობთ ემიგრაცია, საქართველოს ბიუჯეტის დიდ ნაწილს ავსებს ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი გზავნილების ხვედრითი წილი. რთულია ეს პრობლემა აღმოიფხვრას. ორივე შემთხვევაში სავალალო ვითარება შეიქმნება. ემიგრანტებს თუ დავაბრუნებთ, ჩვენ მათ ვერ უზრუნველვყოფთ სამუშაო ადგილებით, რაც ნიშნავს უფრო მეტი უმუშევარი - უფრო მეტი სიღარიბე, მეტი სიკვდილიანობა, რადგან იმ ადამიანებს, ვის სიცოცხლესაც შეძლებისდაგვარად ემიგრაციაში მყოფი ადამიანები აზღვევენ, ვეღარ შეძლებენ ამას და შობადობაზე ქორწინებით და ქორწინების გარეშეც ზედმეტი იქნება საუბარი.

თავი II

ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციები საქართველოში

$1. ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციები საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდგომ, მისმა მოკავშირე ქვეყნებმა ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს კავშირი მტკიცე ყოფილიყო.

სიმტკიცეს კი ამ ქვეყნებს ეკონომიკური სიძლიერე სძენდა. ისინი ერთმანეთზე იყვნენ გადაჯაჭვული, მათი მორალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ფაქტორებითურთ. ხალხმა ამოისუნთქა, გაჩნდა დასაქმება, წამოვიდა ხალხში ფული და სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა 98%-ით ხალხზე, მათ სწავლა-განათლებაზე, დაპურებაზე, დასაქმებასა და ბოლოს შობადობაზე.

შობადობა საბჭოთა კავშირისთვის პირველი მონაპოვარი იყო. რაც მეტი იქნებოდა ქვეყანაში შრომითი რესურსი, ანუ ხალხი, მით მეტი იქნებოდა სარგებელი სრულიად საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნებისთვის. მუშახელი აღარ იყო საკმარისი და არამარტო მუშახელი, არამედ ჭკვიანი ხალხიც სჭირდებოდა მათ. ამიტომ სწავლა იყო უფასო და სწავლობდა ის, ვინც ნამდვილად თავისი განათლებითა და ჭკუით ხვდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თუკი წახალისდა დასაქმება, წახალისდა განათლება, რატომაც არა, წავახალისოთ შობადობა - თქვეს ამ საქმის კვალიფიციურმა მცოდნეებმა და დაიწყეს ფიქრი ალტერნატიული გზების ძიებაზე. ასეთი ერთ-ერთი „ხრიკიც“ გამოჩნდა, მე ასე ვუწოდებდი და ეს იყო რეფორმა მარტოხელა დედების თაობაზე.

მოდით, უფრო ვრცლად განვიხილოთ ახლა ეს საკითხი.

1960-1970 წლებში საქართველოში საერთო შობადობის ინდექსი უფრო მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიდრე 1970-იდან 1979 წლამდე. 1960-1970 წლებში, 1970-1979 წლებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვნად დაიკლო ქორწინებითი შობადობის ინდექსმა. თუმცა, პირველ პერიოდში გაუმჯობესდა მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა, ხოლო შემდგომ პერიოდში - რამდენადმე გაუარესდა. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

1960-1970 წლებში მიმდინარე შობადობის შემცირება ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების ზრდით იყო გამოწვეული, ხოლო 1970-იან წლებში შობადობის კლებას უფრო საქორწინო სტრუქტურის გაუარესება განსაზღვრავდა (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

1979-1989 წლებში საერთო შობადობის ინდექსი განაგრძობს შემცირებას, მაგრამ რამდენადმე ნაკლები ზომით, ვიდრე 1970-1979 წლებში. იმავე დროს, 1979-1989 წლებში, ქორწიენბითი შობადობის ინდექსი მნიშვნელოვნად კლებულობს, განსაკუთრებით 1970-

1979 წლებთან შედარებით. მისი კლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ 1980-იან წლებში არ გაუმჯობესებულიყო მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობა.

1990-იანი წლები უპრეცედენტო იყო კოულის ინდექსის ცვლილების თვალსაზრისით. 1989 წლიდან 1999 წლამდე, ათი წლის განმავლობაში, საერთო შობადობის კოულის ინდექსის კლება, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საერთო შობადობის ინდექსის კლება, რაც რეპროდუქციულ ქცევაში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

ვითარება შეიცვალა ქორწინების გარეშე დაბადებულთა მხრივ და 1990-იან წლებში გაიზარდა ქორწინების გარეშე შობადობის კოულის ინდექსი. 1999 წელს ის საკმაოდ მიუახლოვდა ქორწინებითი შობადობის ინდექსის მნიშვნელობას. კოულის ინდექსებიდან ამომდინარეობს, რომ 1990-იან წლებში საქართველოში შობადობის კლება ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: უფრო მეტად რეპროდუქციული ქცევაში მომხდარი ცვლილებებით და ნაკლებად - მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის გაუარესებით.

1960-2000 წლებში მომხდარი ცვლილებების შედეგად, 2000 წელს 1960 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა 20 წლამდე ასაკის ქალების შობადობის ინტენსივობა. 1960 წელს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში ყველაზე დიდ როლს თამაშობდნენ 25-29 წლის ასაკის ქალები. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 20-24 და 30 და უფროსი ასაკის ქალების როლი, ხოლო ყველაზე უმნიშვნელო 20 წლამდე ასაკის ქალების როლი. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

1970 წლისთვის ვითარება რამდენადმე შეიცვალა. საქმე ის არის, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში მეტი წილის შეტანა დაიწყეს უფრო ახალგაზრდა ასაკის ქალებმა, თუმცა მაინც საგრძნობი რჩებოდა 30 და უფროსი ასაკის ქალების წვლილი. 1980 წლისთვის უფრო შემცირდა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მნიშვნელობის ნახევარი (50,7%) უკვე 25 წლამდე ასაკის ქალების რეპროდუქციული ქცევის შედეგად ყალიბდებოდა. 1990 წლისთვის წინა პერიოდთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა

ახალგაზრდა ასაკის ქალების წვლილი შობადობის ჯამობრივიკოეფიციენტის ფორმირებაში (ბორისოვი, 2001).

1960-1990-იანი წლების პერიოდში მიმდინარეობდა პროცესი, რომლის ძირითადი არსი იყო, რომ შობადობის ასაკი „გაახალგაზრდავების“ შედეგად შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ფორმირებაში, სულ უფრო მცირდებოდა ახალგაზრდა ასაკის ქალების წვლილი. ამავე დროს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი განაგრძობდა კლებას, რაც ძირითადად ახალგაზრდა ასაკის ქალების დაბალი რეპროდუქციული ქცევის შედეგი იყო. 1990-იანი წლები შობადობის მარტივი აღწარმოებისთვის, შობადობის შემცირების პერიოდია.

ყურადღება უნდა კიდევ ერთხელ გადავიტანოთ საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც ქორწინების გარეშე შობადობის სახელით ვიცნობთ. რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა ქორწინების იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ქორწინების გარეშე დაბადებებით წარმოიქმნება.

საბჭოთა კავშირში 1944 წლამდე, ქორწინების გარეშე დაბადების ცნება პრაქტიკულად არ არსებობდა. არარეგისტრირებული ქორწინებებირეგისტრირებულის ტოლფასად მიიჩნეოდა. არსებობდა მამობის ნებაყოფლობითი აღიარება ან სასამართლოს წესით დადგენის პრაქტიკა. 1944-1969 წლებში რეგისტრირებულ ქორწინებაში არამყოფი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რეგისტრაციისას ცნობები მამის შესახებ არ ფიქსირდებოდა, ხოლო შესაბამის გრაფაში ხაზს უსვამდნენ.

ქორწინების გარეშე შობადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ საქორწინო-საოჯახო ტრადიციებსა და კანონმდებლობაზე.

ქორწინების გარეშე შობადობის დონეს ქორწინებითი და რეპროდუქციული ქცევა განსაზღვრავს.

ქორწინების გარეშე შობადობა შეიძლება რამდენიმე მაჩვენებლით გაიზომოს:

1. ქორწინების გარეშე დაბადებათა წილი (%) ყველა დაბადებულს შორის;

2. ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი;

3. ქორწინების გარეშე შობადობის ჯამური კოეფიციენტი;

4. კოულის ინდექსი.

1979 წლიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, 1999 წლისთვის ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტი 4-ჯერ გაიზარდა ქორწინებითი შობადობის კლების ფონზე, ქორწინების გარეშე შობადობის კოეფიციენტის სიდიდე რომ არ გაზრდილიყო და 1989 წლის დონეზე დარჩენილიყო, 1999 წელს საქართველოში 4,2 ათასით ნაკლები ბავშვი დაიბადებოდა. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

მხოლოდ ერთხელ 1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ გამოქვეყნდა არამარტო რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საერთო რიცხვი, არამედ მათ შორის გამოჰყო დედის განცხადებით რეგისტრირებულ ახალშობილთა რიცხვიც. ასეთნაირად, შესაძლო გახდა, მშობლების ორივე მხარის ერთობლივი განცხადებებით რეგისტრირებული ახალშობილების ხვედრითი წილის განსაზღვრა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების საერთო რიცხვიდან. მხოლოდ დედის განცხადებით რეგისტრირებული ბავშვების რიცხვის გამოკლების გზით მან რუსეთში 42,4% შეადგინა (არარეგისტრირებულქორწინებაში მყოფი ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების მთელ რიცხვთან). 1989 წელს საქართველოში მან 70% შეადგინა, მათ შორის ქალაქად 66,4%, სოფლად კი 75,2%.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი არიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები.

სამწუხაროდ, რუსეთის სტატისტიკოსმა არ მისდია თავისი ყოფილი „უფროსი ძმის“ კარგ წამოწყებას. ამიტომ ჩვენ არ ვიცით დაბადებულთა მთელ რიცხვში თუ როგორია ბავშვების დინამიკა და თანაფარდობა თავისი ქორწინებითი სტატუსით.

1960 წელს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ხვედრითი წილი უდრიდა 13,7%-ს და 1975 წელს იგი შემცირდა 10,7%-მდე, ხოლო შემდეგ დაიწყო ზრდა და 1980-იანი წლების ბოლოს ეს ზრდა ძლიერ დაჩქარდა, 1997 წელს იურიდიული ქორწინების გარეშედაბადებულთა ხვედრითი წილი გაიზარდა 25,3%-მდე, რაც 1975 წელთან შედარებით ორზე მეტჯერ ზრდას ნიშნავს.

არასასურველი დაბადების თავიდან აცილების არ ცოდნის თანმდევ ზნეობის დაცემას? არარეგისტრირებული ქორწინებითი ურთიერთობების რიცხვისა და ხვედრითი წილის ზრდას, ე. ი. ქორწინების ტრადიციული ინსტიტუტისადმი უპატივცემულობის ზრდას? ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ასახვას?

სპეციალური სერიოზული ემპირიული და თეორიული გამოკვლევების გარეშე ამ კითხვების პასუხის გაცემა შეუძლებელია. მანამდე კი ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები - სრულებითაც არაა ერთი და იგივე და არაა საჭირო ამ განსხვავებული ცნებების აღრევა (ბორისოვი, 2001)

თავი III

ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობა საქართველოში

ქორწინებითი და ქორწინების გარეშე შობადობის ტენდენციები თანამედროვე საქართველოში

ჩვენ,რომ შევადაროთ ქორწინებების სიმრავლე საბჭოთა კავშირის საქართველოში არსებულ ქორწინებებს,რათქმაუნდა, საგრძნობელ სხვაობას მივიღებთ. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ქორწინება არის ორი ადამიანის მიერ გადაწყვეტილი ურთიერთობა, რომელიც თანაცხოვრებით უნდა დაგვირგვინდეს. ეს ყველაფერი გარკვეულწილად პასუხისმგებლობას აკისრებს ორივე მათგანს. პასუხისმგებლობა კი ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომელსაც წყვილები თანაბრად ინაწილებენ. ახალგაზრდებს უჭირთ კარიერული წინსვლა, დასაქმების ნაკლებობას განიცდის ქვეყანა, ხელფასებიც მიზერულია და ოჯახს არ ჰყოფნის გასამრავლებლად. ოჯახები ერთი შვილის ყოლაზეც თავს იკავებენ, ორი შვილი კი საკმარისია დღეს ნებისმიერიოჯახისთვის და მისი ბიუჯეტისთვის.

თანამედროვეობაში ქორწინების ფორმის არჩევა, პრობლემას აღარ წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ქორწინების ფორმები მრავალფეროვანია.

ქორწინებასთან დაკავშირებული ცნებები

დისლოკალური ქორწინება _ ქორწინების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრება (თითოეული თავის ნათესაურ ჯგუფში). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დისლოკალური ქორწინება მომდინარეობს მატრიარქატიდან

პატრიარქატზე გარდამავალი პერიოდიდან. ზოგიერთ ტომში (ნაირებში _ ინდოეთი) შემორჩენილი იყო XX საუკუნემდე.

ერთეროვნული ქორწინება _ ჰომოგამური ქორწინების სახეობა, რომლის

დროს ცოლ-ქმარი ერთი ეროვნებისანი არიან. ეროვნულად შერეული ქორწინება _ ჰეტეროგამური ქორწინების სახეობა,

რომლის დროს ცოლ-ქმარი სხვადასხვა ეროვნებისაა.

იურიდიული ქორწინება _ ქორწინება, რომელიც გაფორმებულია იმ ქვეყნის კანონების შესაბამისად, სადაც იყო რეგისტრირებული. იგივეა, რაც რეგისტრირებული ქორწინება.

კონსენსუალური ქორწინება _ თავისუფალი (იურიდიულად გაუფორმებელი) კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც ატარებს ცოლ-ქმრული ურთიერთობის სახეს და ასეთად არის აღიარებული საზოგადოებაში.

კუზენური ქორწინება _ ქორწინების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო გვაროვნული წყობილებისა და ადრინდელი კლასობრივი საზოგადოებისათვის. განასხვავებენ კუზენური ქორწინების ორ ძირითად ტიპს: კროსკუზენურს _ ქორწინებას დედის ძმის ქალიშვილთან ან მამიდაშვილთან და ორთოკუზენურს _ ქორწინებას მამის ძმის ქალიშვილთან ან დეიდაშვილთან.

მატრილოკალური ქორწინება _ ქორწინების ფორმა, როცა ქმარი საცხოვრებლად ცოლის თემში გადადიოდა. გავრცელებული იყო მატრიარქატის დროს.

მონოლოკალური ქორწინება _ ქორწინება, რომლის დროსაც მეუღლეები შედიან შინამეურნეობის შემადგენლობაში. თანამედროვე ქორწინების ყველაზე გავრცელებული ტიპი.

მორგანატული ქორწინება _ არათანაბარი ქორწინება, რომლის დროს ცოლზე არ ვრცელდება ქმრის წოდებრივი პრივილეგიები (ან პირიქით), ხოლო შვილებზე მამისა.

პატრილოკალური ქორწინება _ როცა ცოლი საცხოვრებლად გადადის ქმრის თემში. პატრილოკალური ქორწინება ჩაისახა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლისას.

რეგისტრირებული ქორწინება _ ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებულია მოცემულ ქვეყანაში მიღებული კანონით დადგენილი წესის

შესაბამისად.

საეკლესიო ქორწინება _ ერთი შვიდ საიდუმლოთაგან ქრისტიანულ რელიგიაში. ასრულებს ეკლესიაში მღვდელი ან ეპისკოპოსი. წარმოადგენს შესაუღლებელ პირთა მონაწილეობით ჩატარებულ საეკლესიო ცერემონიალს. ქრისტიანული რელიგია საიდუმლოთი შეკრულ ცოლ-ქმრულ კავშირს განიხილავს როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან და ძალიან ძნელად (მართლმადიდებელი) ან საერთოდ არ აუქმებს (კათოლიკური) მას. სამოქალაქო ქორწინება _ ქორწინება, რომელიც ფორმდება სახელმწიფო ხელისუფლების სათანადო ორგანოებში ეკლესიის მონაწილეობის გარეშე. სისხლითნათესაური ქორწინება _ ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან სისხლით ნათესაობით მამის ან დედის ხაზით. მის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კუზენური ქორწინება (იხ. კუზენური ქორწინება); გვხვდებოდა აგრეთვე ინცესტის სახითაც (იხ. ინცესტი).

ფაქტობრივი ქორწინება _ ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებული არ არის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებისას მხედველობაში მიიღებოდა ქორწინებაში ფაქტობრივად ყოფნა, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებული იყო თუ არა ქორწინება.

ფიქციური ქორწინება _ ქორწინება, რომელიც რეგისტრირებული იყო რაიმე მიზნით, მაგრამ რომელსაც არ მოსდევს ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობები.

წყვილადი ქორწინება _ პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული ქორწინების ფორმა. მონოგამიური ქორწინებისაგან განსხვავდება იმით, რომ წყვილადი ქორწინების დროს ჯერ კიდევ არ იქმნება ოჯახი როგორც ეკონომიკური ერთეული. ასეთი ქორწინება არამდგრადია. წყვილადმა ქორწინებამ შეცვალა ჯგუფური ქორწინება, რომლისგანაც შემოინახა ქორწინებამდელი და არასაქორწინო ურთიერთობები, “დამატებითი” ქმრები და

ცოლები. სხვა მოსაზრებათა თანახმად, წყვილადი ქორწინება სქესთა შორის ჯგუფური ურთიერთობების გადმონაშთებთან ერთად ქორწინების უძველეს ფორმას წარმოადგენდა.

ჯგუფური ქორწინება _ ქორწინების უძველესი ფორმა, რომლის დროსაც ერთი ფრატრიის, გვარის ან გვარის შიგა რომელიმე ჯგუფის ყველა მამაკაცს საქორწინო კავშირი ჰქონდა დამყარებული სხვა ასეთივე ჯგუფის ყველა ქალთან. ჰეტეროგამური ქორწინება _ ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა ჯგუფებს, ან ერთობებს. თანამედროვე პირობებში ჰეტეროგამური ქორწინება ფართოდ არის გავრცელებული და გამოდევნა ჰომოგამური ქორწინება.

ჰომოგამური ქორწინება _ ჩვეულება ან ტენდენცია, რომლის მიხედვით ქორწინება ხდება გარკვეული სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფის ან ერთობის შიგნით. უძველესი დროიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით, ჰომოგამური ქორწინება გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ჰომოგამური ქორწინება მცირდებოდა და მის ადგილს იკავებდა ჰეტეროგამური ქორწინება, რომელიც სადღეისოდ გავრცელებული ფორმაა. ჰეტეროგამური ქორწინების ცალკეული სახეობები (მაგ., უპირატესი ქორწინება ერთი ეროვნების წარმომადგენლებში) დღეისთვისაც არის შემორჩენილი.

ეგზოგამია _ საქორწილო ურთიერთობების აკრძალვა ნათესაური, უფრო იშვიათად კი ლოკალური კოლექტივების წევრებს შორის. ეგზოგამია წარმოიშვა და საყოველთაოდ გავრცელდა პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. ეთნოგრაფიულ ყოფას ეგზოგამია გვიანდლამდე შემორჩა. ეგზოგამიის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს შთამომავლობაზე სისხლით ნათესავთა შორის ქორწინების მავნე ბიოლოგიური გავლენის თავიდან აცილებაზე ზრუნვას; 2) ადამიანის ლტოლვა გააფართოოს თავისი სოციალური კონტაქტები და კავშირი დაამყაროს სხვა კოლექტივებთან; 3) სქესობრივი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტების კოლექტივის გარეთ გატანით სოციალური მშვიდობის დამყარება. ენდოგამია _ ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება

ნებადართული იყო გარკვეული საზოგადოების ჯგუფის _ ტომის, კასტის, საგვარეულოს და ა.შ. ფარგლებში. პირველყოფილ საზოგადოებაში გვარი იყო ეგზოგამური, ტომი კი _ ენდოგამური. პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში რიგ ხალხში (მაგ., არაბები, უზბეკები და სხვ.) საგვარეულოები ან უფრო ხშირად შიდა საგვარეულო ჯგუფები _ პატრონიმიები გახდა ენდოგამური, რაც გამოწვეული იყო ქონების ახლო ნათესავებში შენარჩუნების მისწრაფებით. ამასთან, ქორწინება მყარდებოდა (მამის მხრიდან, უფრო იშვიათად დედის მხრიდან) დებსა და ძმებში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებში და ა.შ. (ე.წ. ორთოკუზენური ქორწინება).

ინცესტი _ საქორწინო-სქესობრივი ურთიერთობები უახლოეს ნათესავებს შორის (მამა _ ქალიშვილი, დედა _ ვაჟიშვილი, და _ ძმა). ინცესტი დამახასიათებელი იყო შორეული წარსულისათვის და აკრძალულ იქნა ეგზოგამიის წესებით, თუმცა მისი დაშვებული შემთხვევები ადრეკლასობრივფორმაციებშიც გვხვდება. მაგ., ეგვიპტელი ფარაონები უპირატესობას ანიჭებდნენ ქორწინებას თავის დასთან. განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში ინცესტი ამორალურად მიიჩნევა და უმრავლეს ქვეყნებში კანონით იკრძალება. ამასთან, ინცესტი უაღრესად არაკეთილსასურველია გენეტიკური თვალსაზრისით.

პოლიანდრია _ მრავალქმრიანობა, ჯგუფური ქორწინების იშვიათი გადმონაშთი, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავდა. XIX საუკუნეში შემორჩენილი იყო ალეუტებსა და ესკიმოსებთან, ხოლო ტიბეტისა და სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთ ჯგუფში უფრო გვიანაც არის დამოწმებული.

პოლიგამია _ მრავალქორწინება. ხშირად ტერმინი “პოლიგამია” არაზუსტად

იხმარება მრავალცოლიანობის აღსანიშნავად.

პოლიგინია _ მრავალცოლიანობა, ქორწინების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა, როცა ერთ მამაკაცს რამდენიმე ცოლი ჰყავდა. დამახასიათებელი იყო უმთავრესად პატრიარქატისათვის. პოლიგინია შემონახული იყო კლასობრივ საზოგადოებაში აღმოსავლეთის მთელ რიგ მუსლიმანურ ხალხებში და გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში პოლიგინია აკრძალულია.

საქორწინო აკრძალვები _ ადამიანთა ქორწინების შეზღუდვა კანონმდებლობით, რელიგიური ნორმებით ან ადათ-წესებით.

საქორწინო არჩევანი _ საქორწინო პარტნიორის არჩევა მოცემული საქორწინო წრის ფარგლებში. საქორწინო არჩევანზე მოქმედებს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური კრიტერიუმები. თითოეული მათგანის მნიშვნელობა ცვალებადია დროში და დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებზე. ცალკეული კრიტერიუმის გავლენის მნიშვნელობა საქორწინო არჩევანზე იზომება ქორწინების ინდექსებით.

`საქორწინო ბაზარი" _ ტერმინი, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების ასაკის უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება „საქორწინო ბაზარზე", დაქორწინების ალბათობა, დამოკიდებულია მოსახლეობაში პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე.

„საქორწინო ბაზრის" ვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე შობადობის დონის მკვეთრი ცვალებადობა და სქესობრივად არადაბალანსებული ინტენსიური მიგრაციული პროცესები. თავის მხრივ არახელსაყრელი ვითარება `საქორწინო ბაზარზე" მოქმედებს როგორც ქორწინების, ისევე განქორწინების პროცესებზე.

საქორწინო და საოჯახო კოდექსი _ კანონთა კრებული, რომელიც ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს. საქორწინო და საოჯახო კოდექსით დადგენილია დაქორწინებისა და განქორწინების პირობები და წესი, მოწესრიგებულია ოჯახში, თუ ოჯახის სხვა წევრთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე შვილად აყვანისა და სხვა საკითხები.

საქორწინო კონტრაქტი _ მრავალი ქვეყნის სამართალში ნეფე-დედოფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგების თაობაზე.

საქორწინო კოჰორტა _ ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაქორწინდა ერთი და იმავე პერიოდში, ჩვეულებრივ ერთი ან ხუთი წლის მანძილზე. ესა თუ ის დემოგრაფიული

შემთხვევა საქორწინო კოჰორტაში განიხილება დაქორწინების მომენტიდან გასული ინტერვალით. საქორწინო კოჰორტა წარმოადგენს კოჰორტის ზოგადი ცნების კერძო შემთხვევას.

საქორწინო წრე _ მოცემული ადამიანისათვის შესაძლებელი საქორწინო ერთობლიობა. საქორწინო წრე განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო სისტემათა და საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური ნორმებით, ისევე მოცემული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მისი ხასიათის თავისებურებებით და სხვა. მონოგამიური ქორწინების პირობებში საქორწინო წრეში ფორმალურად არ შედიან ქორწინებაში მყოფი პირები, მაგრამ განქორწინების თავისუფლების დროს საქორწინო წყვილთა გარკვეული ნაწილი შეირჩევა ქორწინებაში მყოფთა კატეგორიიდან. პოტენციურ საქორწინო პარტნიორებად არ განიხილებიან ის პირები, რომლებთანაც ქორწინებას კრძალავს კანონი ან ადათ-წესები. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

საქორწინო წყვილთა შერჩევა _ ტერმინი, რომლითაც დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ცალკეულ პირთა ან ურთიერთშესაფერის წყვილთა მოძებნის სპეციალურ ორგანიზაციათა საქმიანობას. ტრადიციული ოჯახის პირობებში შვილებისათვის მეუღლეების შერჩევას აწარმოებდნენ მშობლები ან შუამავლები (მაჭანკლები). თანამედროვე პირობებში პარტნიორის შერჩევას ძირითადად აწარმოებენ თვითონ დაქორწინების მსურველნი, თუმცა შესაბამისი პარტნიორის ძიებისას გამოიყენებიან როგორც ნაცნობ-მეგობრები, ისევე მშობლები და სხვა. სპეციალური საშუამავლო ორგანიზაციების საქმიანობა მიმართულია შესაძლებელი არჩევანის გაფართოებისაკენ.

ქორწინების ხანგრძლივობა _ სიდიდე, რომელიც ახასიათებს ქორწინების ხანგრძლივობას დაქორწინების მომენტიდან დაკვირვების ან რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის (მიმდინარე ქორწინების ხანგრძლივობა) ან ქორწინების შეწყვეტის მომენტამდე (ბოლო ქორწინების ხანგრძლივობა). იზომება წლებით როგორც საშუალო ქორწინების ხანგრძლივობა რეალური ან ჰიპოთეზური საქორწინო კოჰორტისათვის.

ანსხვავებენ იურიდიული და ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივობას. დემოგრაფიას აინტერესებს ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივობა, მაგრამ ვინაიდან მონაცემები მის შესახებ ძნელად არის მოსაძიებელი იყენებს იურიდიულ ქორწინების ხანგრძლივობას.

პირველ ქორწინებაში ყოფნის ხანგრძლივობა საშუალოდ უფრო მეტია, ვიდრე ხელახალი ქორწინების; განქორწინების მიზეზით ქორწინების შეწყვეტისას ის უფრო ნაკლებია, ვიდრე მეუღლის გარდაცვალებით (დაქვრივებით) გამოწვეული ქორწინების შეწყვეტის ხანგრძლივობისას.

ქორწინების ევროპული ტიპი _ მისთვის დამახასიათებელია: 1) გვიანდელი ქორწინება და 2) უქორწინობის მაღალი წილი. ქორწინების ეს ტიპი დამახასიათებელი იყო ევროპისათვის მისი აღმოსავლეთი და სამხრეთ- აღმოსავლეთი რაიონების გამოკლებით, ე.ი. ძირითადად _ დასავლეთ ევროპისათვის. მაგ., XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში 25-29 წლის ასაკის ქალებში დაუქორწინებელი იყო 30%, ხოლო 45-49 წლის ასაკში _ 12% (მამაკაცებში შესაბამისად 48% და 11%). იმავე დროს ბულგარეთში 25-29 წლის ქალებში დაუქორწინებელი იყო მხოლოდ 3%, ხოლო 45-49 წლის ასაკში _ 1 % (მამაკაცებში შესაბამისად 23% და 3%). ქორწინების ევროპული ტიპის გავრცელებამ დასავლეთ ევროპაში ხელი შეუწყო შობადობის შემცირებას. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

შობადობა

სამწუხაროდ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში დაბადებათარეგისტრაციის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა იყო. კერძოდ, 20012006 წლებში დაბადებათა არასრული აღრიცხვა შეიმჩნეოდა, რომელიც ზოგიერთ წელს 10%-ს აღწევდა. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მოცვა იყო 2004 წელს.

2001-2006 წლებში, საქართველოში ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა სულ მცირდებოდა. მიუხედავად ამისა, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა ხან კლებულობდა, ხან კი მატულობდა. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

დიაგრამა 2.4. ცოცხლად დაბადებულთა და 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა საქართველოში 2001-2006 წწ., ათასი

(შეფასებითი მონაცემებით)



(გ.წულაძე ა. ნ., 2008)

რაც შეეხება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი), 2001-2006 წლებში იგი უმნიშვნელო ცვლილებას განიცდიდა.

2000 წელთან შედარებით სხვადასხვა ზომით და ამასთან უმნიშვნელოდ, 2006 წელს, გაიზარდა 15-39 წლის ასაკის ქალების ბავშვთა შობის რეალიზაციის ხარისხი. აღნიშნული მატება, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანი იყო 25-29 წლის ასაკის ქალებში.

1992-1993 წლებში შობადობის მკვეთრი შემცირების შემდეგ, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2001-2006 წლებში განიცდიდა გარკვეულ ცვალებადობას. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

დიაგრამა 2.8. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ცვლილება საქართველოში

2001-2006 წწ.



	2001	2002	2003	2004	2005	2006
სდ	1.444	1.417	1.414	1.512	1.391	1.405
შეფასება	1.678	1.661	1.666	1.775	1.722	1.740

წყარო: (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

როგორც ვხედავთ, სტატისტიკის დეპარტამენტისა და შეფასებითი მონაცემებიდან გამომდინარე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ტრენდი მსგავს ტენდენციებს იმეორებს. განსხვავება ის არის, რომ შეფასებითი მონაცემებით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მეტია, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამომდინარეობს სტატისტიკის დეპარტამენტის შემთხვევაში ცოცხლად დაბადებულთა არასრული აღრიცხვისა და 15-49 წლის ასაკის ქალების გადამეტებით წარმოდგენიდან. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი იმ დონეზე ნაკლებია, რომელიც მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას უზრუნველყოფს (2,1). (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

საქართველოში ბავშვების 30% რეგისტრირებული ქორწინების გარეშე იბადება. როგორც "ინტერპრესნიუსს" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, დემოგრაფმა გიორგი მელაძემ განუცხადა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის

ბოლო მონაცემებით, მშობელთა ერთობლივი განცხადებებით, ანუ, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულიბავშვების წილი 30%-ია. (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

მისივე თქმით, ეს მონაცემი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალია, თუმცა 2006 წელსუფრო მაღალი იყო.

გასულისაუკუნის 90-იან წლებში დემოგრაფებმა შენიშნეს ერთი ფენომენი, რომელიც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის ზრდას შეეხებოდა. ანალოგიურად არ დაფიქსირებულა, თუმცა 90-იანი წლების შუაპერიოდში დიდ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, 1989 წელს მთელს დაბადებული ბაშვების კატეგორიაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობა თუ იყო 18%, 2006 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 54%-სმიაღწია. საქართველო ამ მაჩვენებლით ევროპის ქვეყნებს შორის თითქმის პირველადგილზე იყო. შემდეგ წლებში ცოტათი დაიკლო და ეს მაჩვენებელი შემცირდა. ამდენად, დღეს ევროპის ქვეყნების სამეულში ამ მხრივ აღარ შევდივართ. (გ.მელაძე, 2015)

მისივე თქმით, აღნიშნულის გამო 1997 წელს დემოგრაფებმა გამოკვლევა ჩაატარეს. დადგინდა, რომ 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის მხოლოდ საეკლესიო ქორწინებაში 20%-ზემეტი იმყოფებოდა. "ასეთი ტიპის ოჯახებს სახელმწიფო არცნობდადაასეთოჯახშიდაბადებულიბავშვებირეგისტრირებულქორწინებისგარეშედაბადებულებადითვლებიან. დღესროგორიაესმონაცემები, ამასკვლევისჩატარებასჭირდება. რეგისტრირებულიქორწინებისგარეშედაბადებულიბავშვების 30%-შისაკმაოდდიდინაწილი, შესაძლოა, ნამდვილადიყოსსაეკლესიოქორწინებაშიმყოფიოჯახებისბავშვები, თუმცარამდენი - მიჭირსციფრებისდასახელება. (გ.მელაძე, 2015)

დემოგრაფმაასევეისაუბრაიმგანსხვავებაზე, რომლითაცსაქართველოევროპულიქვეყნებისგანგამოირჩევა, სადაცასევემაღალიაქორწინებისგარეშეშობადობა.

ჩვენთან არიზრდება და სტაბილურია მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებული ბავშვების რაოდენობა. ეს არის სწორედ მარტოხელა დედების რაოდენობა. გასული წლის მონაცემებით კი იგი ყველა სხვაწლებთან შედარებით ძალიანდაბალი იყო და 2,5%-სშეადგენს. ამ მხრივ ყველაზე მაღალი პროცენტი - 8% იყო. ბოლო წლებში შემცირების ტენდენცია აქვს და ასეთიდაბალი არასდროსყოფილა. ესმეტყველებს, რომ საქართველოში ოჯახს

დღესდღეობით მყარი ტრადიციული საფუძვლები აქვს და ქვეყანაშიგლობალურპროცესე-ბინაკლებად შეინიშნება, - (გ.წულაძე ა. ნ., 2008)

მელაძე მიიჩნევს, რომ გამოსავალს საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინების ორივე ფორმის დაშვება წარმოადგენს.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონკორდატი 2002 წელს გაფორმდა, რომლის მე-3 მუხლით სახელმწიფო საეკლესიო ჯვრისწერას აღიარებს, თუმცა სამართლებრივ ურთიერთობაში - მხოლოდ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემებს ეყრდნობა.

ამასთან, ჯვრისწერას შესაძლოა, იურიდიული ძალა მიეცეს. ამ საკითხისგან ხილვასა-ხელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონ-სტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოხდება.

გასულ წელს საქართველოში 60 736 ბავშვი დაიბადა. დაბადებულთა 51.65 % ვაჟია, ხოლო 48.35% გოგონა. შარშან ყველაზე მეტი ბავშვი ივლისის თვეში დაიბადა, ქალაქების მიხედვით კი, ყველაზე მეტი პატარა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და რუსთავში დაიბადა. (ვ.სულაბერიძე, 2014)

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 2013 წელს 57 860 ახალშობილი დაიბადა, 2012 წელს - 58 175, 2011 წელს - 59 381, 2010 წელს - 63 726, 2009 წელს - 63 806, ხოლო 2008 წელს 57 976 ბავშვი.

"რეზონანსთან" საუბარში დემოგრაფები განმარტავენ, რომ წინა წლებთან შედარებით გასულ წელს შობადობამ იმატა, თუმცა, ზოგადი სურათის ფონზე მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. (ა.თოთაძე, 2013)

ანზორ თოთაძე: შობადობა 2009-2010 წლებში გაიზარდა, თუმცა, ბოლო სახელმწიფოს მხრიდან რამე ხელშეწყობა არ ყოფილა.

რაოდენობრივი ზრდა შობადობის ზრდას არ ნიშნავს, პირველ და მეორე შვილზე მოთხოვნა.

2018 წლიდან შობადობა ამის ფონზე, ისევ შემცირდება

მომავალ წლებში სტაბილურობის შენარჩუნება გაგვიჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ 90-ან წლებში დაბადებულთა მცირე რაოდენობის გამო რეპროდუქციული ანუ შობადობის უნარის ასაკში ცოტა ქალი იქნება.

2018 წლიდან შობადობა შემცირებას დაიწყებს. დაბადებულთა რაოდენობა შემცირდება ისეთი მასშტაბით, რომელსაც აქამდე ველოდებოდით. ამიტომ სახელმწიფომ ისეთი აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, რომლითაც სტაბილურ ვითარებას შევინარჩუნებთ.

ამისათვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს 30 წლიანი პროგრამა, რომელსაც დემოგრაფიული კრიზისის პერიოდში გამოიყენებს. ეს იქნება სხვადასხვა ტიპის დაფინანსება, ღონისძიება თუ სხვა...

დასკვნა

ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქორწინება არის დადებითი მოვლენა დემოგრაფიისთვის, ასევე ქორწინების გარეშე შობადობაც არ არის გამონაკლისი, ვინაიდან მთავარია ორი ადამიანის გაერთიანებას მოჰყვეს გამრავლება და ერის კვლავწარმოება.

ქორწინებითი შობადობა უფრო ხშირია. ვერ ვიტყვი, რომ ეს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორით იყო გამოწვეული, თუ უფრო ფსიქოლოგიურით, მაგრამ ამ საკითხს არამარტო დემოგრაფები ადევნებენ თვალყურს, არამედ სოციოლოგებიც,

პოლიტოლოგებიც, ფსიქოლოგებიც და სხვა წამყვანი დარგის სპეციალისტებიც. ჯანდაცვის სფერომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ორსულთა და ჩვილთა დაზღვევაზე.

საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყანა, ცხოვრობს მრავალფეროვანი მოსახლეობა. ესენია: რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, თურქები, ჩინელები, ინდოელები... ამდენი ეროვნების თანაცხოვრება ქართველებთან, რომლებიც სამ მილიონზე ცოტა მეტი არიან, წლების მანძილზე ინარჩუნებს სტაბილურობას.

ამ ხალხის ნახევარზე მეტი რეგისტრირებულია როგორც საქართველოს მოქალაქე და მათი შვილები ავტომატურად ჩნდებიან საქართველოს მოქალაქენი. ეს მაგალითი მოვიყვანე, რომ მინდა განვასხვავო ამ ერების ტრადიციები ქორწინებასთან მიმართებაში. ქართველები ქორწინების გარეშე უფრო მეტად ცხოვრობენ ერთად თანაცხოვრებაში რუსების მსგავსად, ვიდრე სხვა ჩამოთვლილი ხალხები. უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოში შვილის გაჩენა პრივილეგიაა და უცხოელები აუცილებლად არეგისტრირებენ ქორწინებასაც და შეძენილ შვილსაც მოქალაქეობის მისაღებად.

შობადობა ქორწინებითა და ქორწინების გარეშეც ყველაზე მაღალი იყო, როდესაც საქართველო შედიოდა საბჭოთა კავშირში და გაჭირვება არ იყო სე მაღალი როგორც დღეს არის.

გამოყენებული ლიტერატურა

(n.d.).

ა.სულაბერიძე. (2015, 01 17).

ბორისოვი, ვ. (2001). თბილისი: ა.სახვაძე ვ. ლორთქიფანიძე.

გ.მელაძე. (2015, 01 17).

, ა. ნ. (2008). *საქართველოს დემოგრაფიული განვითარება.* თბილისი, ე. (2014). *დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები.* თბი, ნ. (2014). *დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები.* თბილისი: ISBN.

ვ.სულაბერიძე, ა. (2014). *დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები.* თბილისი: ISBN.

საქ.სტატი. (2015). თბილისი: საქ.სტატი.

სტატი, ს. (2012).